ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 124/2

ქ. ხობი 14 აგვისტო 2012 წელი

ერთის მხრივ, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა (შემდგომში „შემსყიდველი"), მისამართი: ქ. ხობი, ცოტნე დადიანის ქ. №189, საიდენტიფიკაციო კოდი 244688600, საბანკო რეკვიზიტები: ანგარიშის ნომერი 33030862, სააქციო საზოგადოება „ლიბერთი ბანკი"-ს ხობის ფილიალი, ბანკის კოდი 220101465, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გოგა ღურწკაიას სახით

და მეორეს მხრივ ფიზიკური პირი "ინვერი კილასონია" (შემდგომში „მიმწოდებელი"), მისამართი: ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი საჯიჯაო, პირადი ნომერი 58001022460, პირადობის მოწმობის №ა0846729, ანგარიშის ნომერი GE93LB0111132776542000, ბანკის კოდი LBRTGE22,

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **მხარეთა ვალდებულებები**

1.1 მიმწოდებელი ვალდებულია ტექზედამხედველობის მომსახურეობა განახორციელოს შემსყიდველთან ხობის მუნიციპალიტეტის საჯიჯაოს თემის სოფელ ჯაპიშაქარში გზის ასფალტბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების მიმდინარეობასთან დაკავშირებით, წარმოდგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად, კერძოდ:

- კონტროლი საპროექტო გადაწყვეტილებების დაცვაზე, ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებზე;
- ანაზღაურებისათვის წარმოდგენილი სამუშაოთა მოცულობის დადასტურება, ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოთა მოცულობის და შემსყიდველთან შეთანხმებული შესაბამისი ერთეული სამუშაოთა დადასტურება;
- შესრულებული სამშენებლო სამუშაოების, გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების საპროექტო გადაწყვეტასთან, სტანდარტებთან, ტექნიკურ პირობებსა და სხვა ნორმატიულ დოკუმენტაციასთან შესაბამისობის კონტროლი;
- საპროექტო დოკუმენტაციაში გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრისათვის საკითხის დროულად დაყენება და შესრულებაზე კონტროლი;
- მშენებლობაზე გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების ტექნიკური პასპორტების, სერთიფიკატების, ლაბორატორიული შემოწმების შედეგებისა და ხარისხის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების არსებობის შემოწმება;
- ისეთი სამუშაოებისა და კონსტრუქციული ელემენტების დამოწმება, შეფასება და შესაბამისი აქტების შედგენაში მონაწილეობა, რომლებიც დაიფარება შემდგომი სამუშაოების შესრულების შედეგად;
- ობიექტის ძირითადი და საპასუხისმგებლო კონსტრუქციების გამოცდისა და მიღება-ჩაბარების განხორციელება;
- მონაწილეობა სამშენებლო კონტროლისა და მშენებლობის ცალკეული ეტაპის სამშენებლო სამუშაოთა ხარისხის შემოწმება-შეფასებაში და პროექტთან შესაბამისობის დადგენაში;
- უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს აღრიცხვიანობა;

- პირველადი სამშენებლო ტექნიკური დოკუმენტაციის წარმოებაზე კონტროლი და სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას ნაკლოვანებებისა და დეფექტების გამოვლენის შემთხვევაში მასში ცვლილებების შეტანა;
- კონტროლი სამშენებლო ორგანიზაციის მიერ საავტორო ზედამხედველობისა და სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოების მითითებების მიწერილობების, აგრეთვე ტექნიკური ზედამხედველობის იმ მოთხოვნათა შესრულებაზე, რომლებიც მიეკუთვნება სამშენებლო სამუშაოების ხარისხის, გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობების და მასალების, ცალკეული სამუშაოების დეფექტებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრის საკითხებს;
- მონაწილეობა მუშა კომისიების მიერ ცალკეული სამშენებლო სამუშაოების ხარისხზე და საპროექტო მონაცემთა შესაბამისობაზე ჩატარებულ შემოწმებებში;
- მშენებლობის პროცესში შემსყიდველისათვის სისტემატიურად ინფორმაციის მიწოდება მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ.

2. მიწოდების ვადა და ადგილი, მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

2.1. მომსახურების მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.

2.2 მომსახურების მიღება განხორციელდება, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად გაწეული მომსახურების ღირებულებისა და მოცულობის მითითებით გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტისა და ,,ტექნიკური ზედამხედველობის ანგარიშის" საფუძველზე.

2.3. შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი წარმომადგენელია ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირები.

2.4. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს უხარისხოდ განხორციელებული მომსახურების მიღებაზე.

2.5. მომსახურების მიწოდების ადგილია ხობის მუნიციპალიტეტი, საჯიჯაოს თემის სოფელი ჯაპიშაქარი.

2.6 ხელშეკრულება ძალაშია სამუშაოს დასრულებამდე 2012 წლის 9 ოქტომბრის ჩათვლით.

3. ხელშეკრულების ღირებულება, ანგარიშსწორების ფორმა და წესი

3.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით;

3.2 მიმწოდებელთან საბოლოო ანგარიშსწორება ხორციელდება ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ. შუალედური ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით დადგენილი წესით დამოწმებული ფორმა N2-ში მითითებული შესრულებული სამუშაოების ღირებულების პროპორციულად;

3.3 ანგარიშსწორება ხორციელდება ,,ტექნიკური ზედამხედველობის ანგარიშის" წარმოდგენიდან 15 დღის განმავლობაში. მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს აუთვისებელ თანხაზე;

3.4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება არის 1200 (ერთი ათას ორასი) ლარი;

4. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

4.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები;

4.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია, ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა;

4.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად;

5. უფლებების გადაცემა

5.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობით თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით ვათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი;

6. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

6.1 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს თავის მოვალეობებს, ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში, შემსყიდველი წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები;

7. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

7.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა წინაშე წარმოშობილი დაბრკოლების გამო ნაკისრი ვალდებულებების ვერ ან არაჯეროვნად შეუსრულებლობისათვის საფრთხის შესახებ, მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ, ხოლო შეტყობინების მიმღები მხარე კი ასევე დაუყონებლივ აცნობებს თავის გადაწყვეტილებას აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით;

7.2 იმ შემთხვევაში თუკი ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით;

8. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულების დამდები მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედება;

8.2 ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეს ეცნობება წერილობით ხელშეკრულების (ან მისი ნაწილის) შეწყვეტამდე 2 (ორი) კვირით ადრე მაინც, ამასთან, უნდა მიეთითოს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი და მისი ამოქმედების თარიღი;

8.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

9. ფორს-მაჟორი

9.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და სამარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებათა დასრულების შემდეგ;

9.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპესაციის მოთხოვნის უფლების გარეშე;

9.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს;

10. დავების გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

11. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

11.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;

11.2 ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი;

11.3 ინსპექტირება ხორციელდება წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე;

11.4 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების კონტროლი;

11.5 მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურების განხორციელების დროს შემსყიდველს შემოწმების აღმოუჩინოს ხელშეწყობა, არ შეუქმნას ხელისშემშლელი პირობები, წარუდგინოს მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტი;

12. დასკვნითი დებულებანი

12.1 მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით;

12.2 ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას;

12.3 მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია;

12.4 ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება, მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების შესახებ და ა. შ. თუ წინასწარ არ მოხდება შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება;

12.5 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს სამუშაოს დასრულებამდე;

12.6 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 4 (ოთხი) თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლიარად, 3 (სამი) ეგზემპლიარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერტი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს;

საფუძველი: ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსის ა. ვარდიას მოხსენებითი ბარათი N1392 14.08.2012წ

13. მხარეთა ხელმოწერები:

ხელშეკრულება შეთანხმებულია

1. გამგებლის მოადგილე: მ. ბოკუჩავა

2. გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი: ა. ვარდია

3. გამგეობის საფინანსო –საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: დ. ჭოჭუა

4. გამგეობის საფინანსო –საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი : ზ. შონია

5.ადმინსტრაციული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი: ჯ. ბერაია

ხელისმოწერა და ბეჭედი

ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი

გოგა ღურწკაია

ფიზიკური პირი

ინვერი კილასონია